პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მაისი, კვირა, 1987 წ. № 98 (9507) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გუშინ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ სრულდება „საქართველოში მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ“ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების 1985 წლის დადგენილება.

განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე საცურაო აუზების ქსელის განვითარების სქემა, რომელიც სპორტსახკომის დაკვეთით დამუშავდა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ.



## ერთგვარი ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობას შეუდგა სახელმწიფო მიღების კომისია, რომლის მიზანია შეაფასოს წლის განმავლობაში მწვრთნელებისა და სპორტსმენების, მთლიანად სპორტული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა. ამ დღეებში კომისიამ გამოცდები ჩაიბარა აკრობატებისგან და მოცურავეებისგან. შედეგებზე ამ დღეებში ვიტყვით.

# დღეს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის ზეიმია

# ხვალ იწყება ველომოყვარულთა საკავშირო კვირეული



## ბრძანების პირველი ამპარტავნება

მოგვადრაკე ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურის შეხვედრებიდან დიდ ინტერესს იწვევდა ქეთევან კახიანისა და ქეთევან არახამიას პარტია. ორივე ძირითადად ლაზიერის ვარიანტზე მიმდინარეობდა, სადაც არახამიამ პოზიციური უპირატესობა მიიღო, მერე ტაქტიკური კომბინაციით ეტლში ორი ფიგურა მოიგო და პარტია მისი გამარჯვებით დამთავრდა. არანაკლებ ინტერესოდ წარიმართა ჰენრიეტა თეოდორესკუსა და ეგვენია პეიჩევას პარტია. ლაგვილავამ მიტელშპილის შეძლო პაიკის მოგება და ინიციატივასაც დაეუფლა. პეიჩევამ მეორე პაიკიც დათმო, მაგრამ საფიგურებ თავისი ფიგურები ამოქმედა. პარტია გადაიდო. ლაგვილავას ორი ზედმეტი პაიკი და ოდნავ უპირატესობა აქვს. თამარ ქუთელიას დებიუტშივე მეფის გამბიტით წამოიწყო იერიში ლიანა ლეშნერის წინააღმდეგ, მაგრამ პოლონელმა ოსტატმა, რომელიც ზუსტად იცავდა თავს, პოზიციის გამარტივება შეძლო. პარტია თანაბარ, მწვავე პოზიციაში გადაიდო. ლიჯია ჟიკმანისა და ნატალია კონოპლიოვას პარტიაში თავიდანვე ჟიკმანმა მოიპოვა უპირატესობა. ციტნოტში კონოპლიოვამ ხარისხიც დაკარგა და თავი დამარცხებულად ცნო. საინტერესო გამოდგა ლიუდმილა ზაიცევასა და ციალა ქასოშვილის ორთაბრძოლა. მიტელშპილში ზაიცევამ მეტოქეს პაიკი დაუთმო, ქართველ ოსტატს „საჩუქარზე“ უარი არ უთქვამს, მაგრამ არც თუ სახარბიელო პოზიცია მიიღო. ორმხრივ ციტნოტში ქასოშვილმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა საბოლოოდ პარტია ზაიცევასთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო — მას ზედმეტი პაიკი აქვს. თითქმის თანაბარ პოზიციაში გადაიდო ქრისტინ ნიუბერგისა და ელენა ახმილოვსკაიას პარტია.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ლილიანა ლეშნერი (პოლონეთი), ქეთევან არახამია — 1-1 (1-1), ლიჯია ჟიკმანი (რუმინეთი) — 1, ციალა ქასოშვილი, ლიუდმილა ზაიცევა (მოსკოვი) — 0,5-0,5 (1-1).

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

## საქართველოს სპორტსახკომში

კოლეგიის მორიგ სხდომაზე საგანგებოდ მოიწვიეს იმ ხელმძღვანელები და მუშაკები, რომლებიც პასუხს აგებენ რესპუბლიკაში ცურვის დღევანდელ საგანგაშო მდგომარეობაზე. კოლეგიამ უაღრესად კრიტიკულად, ობიექტურად, მაგრამ მკაცრად შეაფასა ამ სალანდილი ვითარება, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების უპასუხისმგებლობით და ინერტულობით. მიღებულია ვრცელი დადგენილება, რომლის შინაარსი ცალკე გამოქვეყნდება.

ამავე სხდომაზე იმსჯელეს სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებისათვის საჭირო ველოსიპედების მოცურავეთა ნაკრები გუნდის მზადებისა და სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადისათვის სპორტის ამ სახეობაში სავარაუდო შედეგების პროგნოზირების საკითხებზე.

ჭუთაისის ავტოქარხანაში იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სპორტკლუბ „კოლხეთის“ საქმიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ბოლო წლებში ავტოქარხნელთა სპორტული კლუბი ფაქტიურად ვეღარ უპასუხებდა მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს და რიგით ფიზკულტურულ კოლექტივამდე დაეშვა. ახლა კი ქარხნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება კოლექტივში ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური ფუნქციის ამაღლების საკითხს, უკვე ტარდება პრაქტიკული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ ფაქტის გათვალისწინებით კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება — დღის წესრიგში კი იყო საკითხი — „სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე ქუთაისის ავტოქარხნის სპორტკლუბ „კოლხეთში“ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაა დღეს სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში“ და რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში, კოლეგიამ განიხილა ვრცელი ინფორმაცია და მიიღო ხათანადო დადგენილება.

* * *

რესპუბლიკის სპორტსახკომი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება იმ სპორტსმენთა მზადების საკითხს, რომლებიც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატთა სიაში ირიცხებიან. ამჯერად კოლეგიის წინაშე წარსდგა წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე და მისი მწვრთნელი ირაკლი ჩხიკვაძე. გიორგაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალღონეს არ დაიშურებს დაიმკვიდროს ადგილი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში, მანამდე კი თავისი შესაძლებლობები დაამტკიცოს საკავშირო ჩემპიონატში და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მწვრთნელმა ი. ჩხიკვაძემ და კოლეგიის წევრებმა თქვეს, რომ გიორგაძემ სერიოზული დასკვნები გააკეთა ადრე დაშვებული შეცდომებიდან.

კოლეგიის ამ სხდომაზე დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები და განიხილეს სხვა საკითხები.

## მშვიდობის ველორბოლა

# საბედისწერო 15 წამი

მშვიდობის ველორბოლის VII ეტაპი პრაღა-პორდუბიცე ტაშკენტელმა ჯონოლიდინ აბდუჯაპაროვმა მოიგო. 148-კილომეტრიანი მანძილი მან 3:43,59-ში გაიარა. მეორე წამით ჩამორჩა მას ჰოლანდიელი ტომ კორდესი. ფინიშთან მესამე პოლონელი ზდისლავ ვრობა იყო — 3:44.06.

გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ საბჭოთა ველოსიპედისტები არიან — 73:05.16. უკვე მერამდენე ეტაპია გდრ-ის კოლექტივი ჩვენს გუნდს 15 წამით ჩამორჩება. მესამე შედეგი პოლონეთის ნაკრებს აქვს — 73:06.19.

ლიდერი პირად ჩათვლაში კვლავ შეიცვალა, უფრო სწორად, ყვითელი მაისური გდრ-ის გუნდის ერთმა ველოსიპედისტმა (ოლაფ ლუდვიგმა) მეორეს (უვე რაიბს) ჩამოართვა. მესამე ადგილზეც მათი თანაგუნდელი უვე ამპლერია. შემდეგ კი სამი საბჭოთა სპორტსმენი მოდის: პიოტრ უგრუმოვი (ლიდერს 24 წამით ჩამორჩება), აბდუჯაპაროვი და დიმიტრი კონიშევი.

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნურ ტყორცნებში სპორტის დამსახურებული ოსტატის ნინო დუმბაძის პრიზზე (დასაწყისი 10 ს. 30 წ.).

16 აპრილს, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა საგაზაფხულო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. სამდღიან შეჯიბრებაში ის ნორჩი მძლეოსნები მონაწილეობდნენ, რომლებსაც სულ მალე ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა მოუწევთ სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებზე. ასე რომ, საქართველოს ჩემპიონატი რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა ერთგვარი გენერალური დათვალიერება იყო.

სურათზე: გოგონები 100-მეტრიან დისტანციაზე.

(ანგარიში ცალკე გამოქვეყნდება).

## SOS

# ინსპექცია გვატყობინებს

საქართველოს სპორტსახკომმა შექმნა საბანგებო ინსპექცია, რომელიც სისტემატურად შეამოწმებს სპორტული ჯგუფების მეცადინეობას

შემოწმდა ფრენბურთელ ქალთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა.

ვარჯიშს ესწრებოდა — 5, ნაცვლად 15 სპორტსმენისა.

უფროსი მწვრთნელის გ. ახვლედიანის მივლინებაში ყოფნის გამო, მეცადინეობა ჩაატარა მწვრთნელმა დ. ხაბულიანმა.

არ იყო ექიმი-ცხვის ჟურნალი და მწვრთნელს არ ჰქონდა გეგმა-კონსპექტი, სპორტსმენებს—დღიურები.

ინდივიდუალური მომზადების გეგმები ფორმალურია. მეტიც, 5 სპორტსმენიდან მხოლოდ ორმა იცოდა, ისიც ზოგადად, რომ საერთოდ არსებობს სპორტსმენთა ინდივიდუალური მომზადების გეგმა.

## ინფორმაცია

**ვილნიუსი.** მფრინავი კოსმონავტის ი. გაგარინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ქალთაბურთელთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრების გარდა მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის გუნდები, აგრეთვე ამერიკული კლუბი „ჩიკაგო კლმ“. პირველ ტურში აშშ-ს კალათბურთელებმა ჩინეთის ნაკრები დაამარცხეს — 104:85 (57:46).

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში თბილისის „შევარდენმა“ უმასპინძლა ქუთაისის „მშენებელს“. ანგარიშით 30:13 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა.

# ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!

## სპეციალური გამოშვება №3 (15)

## 18—24 მაისს ტარდება ველოსპორტის მოყვარულთა საკავშირო კვირეული

### რა სიკეთე მოაქვს ველოსიპედს?

**ველოსიპედით** სეირნობა შესანიშნავი საშუალებაა კუნთების, გულის და სისხლძარღვთა გასამაგრებლად, ფილტვების გასავარჯიშებლად. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ზედმეტი წონა აქვს.

კაცი, რომელიც 70 კილოგრამს იწონის, თუ ველოსიპედით ყოველდღიურად საათში 20 კილომეტრს დაფარავს, დღე-ღამეში 600 კილოკალორიას დახარჯავს.

ველოსიპედით სეირნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჯანმრთელობისთვის. სატერფულებზე ფეხის რიტმული მოძრაობა ხელს უწყობს სისხლის ნაკადის გულისკენ დენას, აწესრიგებს სუნთქვას.

ველოსიპედით სეირნობისას ისუნთქეთ ღრმად, თავისუფლად. სუნთქვის სიხშირე და სატერფულების ტრიალი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ველოსიპედისტმა, რომელიც ნელა მოძრაობს, ველოსიპედის სატერფულების ორჯერ დატრიალებისას ერთხელ უნდა ჩაისუნთქოს და ამოისუნთქოს. მაღლობზე ასვლისას კი სუნთქვის ციკლი სატერფულის ერთხელ დატრიალებას დაამთხვიოს.

ფიზიკურად კარგად მომზადებულ ველოსპორტის მოყვარულს შეუძლია მოასფალტებულ გზაზე 100-200 კმ, გრუნტიან გზაზე კი 60-80 კმ გაიაროს.

50 წელს გადაცილებულთ ხანგრძლივ მგზავრობას ველოსიპედით მხოლოდ იმ შემთხვევაში ვურჩევთ, თუ მათ დიდი სპორტული „სტაჟი“ აქვთ, მაგრამ მოგზაურობის დაწყების წინ მაინც საჭიროა ექიმს ეჩვენონ.

ხანშიშესულებმა სჯობს მოკლე მანძილზე იმოგზაურონ. თავს ნუ გადაიტვირთავთ, ნუ გაიფლანდებით, როგორც კი იგრძნობთ, რომ დაიღალეთ, ჩამოდით ველოსიპედიდან და ფეხით გაიარეთ, შეასრულეთ რამდენიმე სუნთქვითი ვარჯიში.

## ჩვენ და ჩვენი ორთვალა მეგობარი

**ვინ არ მჯდარა ბავშვობაში ველოსიპედზე, ამის დადგენა ძნელი საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ახეთები ჩვენს პლანეტაზე ცოტანი იქნებიან. ველოსიპედის ერას, იხ. როგორც კოხმოსურ ერას, ჰქონდა თავისი დასაწყისი.**

ამბობენ, ველოსიპედი 1649 წელს გამოიგონესო. ზოგ ენციკლოპედიაში მის ასაკს დენთის აღმოჩენის ასაკს უთანაბრებენ. ვერ გეტყვით რომელი თარიღია უფრო ზუსტი. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 1791 წლის ზაფხულში გრაფმა დე სივრაკმა პარიზის პარკ პალე-როიალში გამოსცადა ხის კონსტრუქცია, რომელიც აგებულებით ველოსიპედს ჰგავდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი აღმოჩენა და გამოგონება მიეცა დავიწყებას, ველოსიპედი კი დარჩა. ეს ყველაზე მოხერხებული, ყველაზე იაფი, უხმაურო და უწყინარი ტრანსპორტი დღესაც ერთგულად ემსახურება ადამიანს.

ველოსიპედმა დაამშვენა სპორტის სამყარო, ლაზათი შემატა ოლიმპიურ თამაშებს, სხვა დიდ შეჯიბრებებს. განუზომელია ველოსპორტისა და ველოტურიზმის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში. იგი ადამიანს აჯანსაღებს, მხნეობას მატებს. აი, რატომ არის, რომ დღეს ველოსიპედმა ლამის მთელი მსოფლიო ხელახლა დაიპყროს. რამდენიმე წლის წინათ მადრიდში ველოსპორტის დღესასწაულიც კი მოუწყვიათ. სტარტზე, წვიმისა და სიცივის მიუხედავად, 30 ათასი კაცი გამოსულა.

სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ველოსიპედი მუდამ მოსახერხებელ ტრანსპორტად ითვლებოდა. ზშირად გვინახავს რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში ველოსიპედებზე ამხედრებული გოგო-ბიჭები და ასაკოვანი ხალხი. არაფერია გასაკვირი. ველოსიპედი იქ ძველთაგანვე გადაადგილების ყველაზე მისაწვდომი და პრაქტიკული საშუალება იყო. რატომ არ უნდა მივუბაძოთ მათ, რატომ არ უნდა მივუნიშნოთ, ან კიდევ სერიოზულად აპირებს ველოსპორტში შეცდომას.



ჩინოთ ღირსეული ადგილი ველოსიპედს ჩვენს ცხოვრებაში? რატომ არ უნდა დავამკვიდროთ იგი უფრო თამამად თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ველოსპორტს ბევრი სიკეთე მოაქვს. გვინდა რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მივცეთ ჩვენს მოზარდებს, ყველას, ვისაც სურს ველოსიპედით სიარული ისწავლოს, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ივარჯიშოს, ან კიდევ სერიოზულად აპირებს ველოსპორტში შეცდომას.

ველოსიპედი მრავალგვარი არსებობს. არის საგზაო, მსუბუქი სა... გზაო, სპორტული, საბავშვო, მთ... ზრდილთათვის განკუთვნილი, მ... საბმელ მოწყობილობიანი, საკიდ... ძრავიანი... ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია საგზაო ტი... პის ველოსიპედები: „ხარკოვი“ დ... „უკრაინა“. ეს მანქანები გამძლეობით გამოირჩევა და ყოველგვარ გზაზე გამოსადეგია. მოზარდებს უურჩევთ შეიძინონ „ორლეონოკისა“ და „ლასტოჩკას“ ტიპის მანქანები. არის საგანგებოდ ქალებისათვის განკუთვნილი მოდელებიც.

ბოლო ხანს ჩვენი მრეწველობა უშვებს დასაკეც ველოსიპედებს — „დესნას“, „კამას“, „პერმს“. წლიდან წლამდე უმჯობესდება დ... იხვეწება ტურისტული ველოსიპედები „სპუტნიკი“ და „სპორტი“. ნებისმიერი ტიპის ველოსიპედ... გამუდმებულ ყურადღებასა დ... ზრუნვას მოითხოვს, მანქანა მუდამ ყოველმხრივ გამართული უნდა იყოს. სანამ გზას გავუდგებოდეთ, ჯერ ველოსიპედი უნდა შევამოწმოთ — ბრუნავს თუ არა ბორბლები, ხომ კარგად არის გაბერილი სალტეები (თითით რომ დააწვებით, არ უნდა ჩაიზნიქოს). განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ წინა და უკანა მუხრუჭებს. აუცილებლად შეამოწმეთ საიმედოდ არის თუ არა დამაგრებული სატ... ბოლოს შეამოწმეთ ჯაჭვი, სატერფულები, უნაგირი. გახსოვდეთ, რომ კარგად გამართული ველოსიპედი არ ჭრიალებს, უხმაუროდ მოძრაობს.

ველოტურიზმი აქტიური დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

## ეკვატორს ორჯერ შემოუარა

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობით, დღეისათვის ჩვენს პლანეტაზე 420 მილიონი ველოსიპედია. საინტერესოა, რომ აქედან სატრანსპორტო საშუალებად მხოლოდ 3 პროცენტს იყენებენ. დანარჩენი 97 პროცენტის მფლობელები თვლიან, რომ ორთვლიანი მანქანები, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობის გაკაჟების კარგი საშუალებაა.**

ასე ფიქრობს კარელიის ქალაქ კემის მკვიდრი ნინა ბაჟენოვაც, რომლის უჩვეულო ველომარშრუტი რიაზანის მიდამოებში გადის.

— ჩემი ველოსიპედით გზას ჯერ კიდევ 1984 წელს გავუდექი, — ამბობს მოგზაური — მარშრუტის ყველაზე შორი წერტილები იყო ვლადივოსტოკი და კამჩატკის პეტროპავლოვსკი, მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება. წინ მოსკოვია, შემდეგ კი — მშობლიური კემი. მთელი ჩემი ცხოვრება მიტაცებდა ფიზკულტურა, ვარ ოსტატობის კანდიდატი თხილამურებში. მიუხედავად იმისა, რომ მალე სამოცდაათი წელი შემისრულდება და დიდი ხანია ბებიაც ვარ, ამ მოგზაურობის შემდეგ თავს ბევრად უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ.

ნინა ბაჟენოვა პირველად სამოგზაუროდ 1971 წელს წასულა. თხილამურებით ჩასულა მურმანსკში. ერთი წლის შემდეგ ველოსიპედით კემიდან შორეული ქალაქებისკენ აუღია გეზი, — ალმა-ათა, სემიპალატინსკი, ომსკი მოუნახულებია.

— სულ გავლილი მაქვს 70 ათასი კილომეტრი. გამოდის, რომ ორჯერ შემომივლია ეკვატორისათვის, — გვითხრა ნინა ბაჟანოვამ დამშვიდობებისას — ჩემი შვილები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. ყაზახეთში, ქალიშვილთან, უკვე ვიყავი. ახლა ლენინგრადში ვაპირებ წასვლას, მურმანსკში კი მეორე ქალიშვილს ვეწვევი. ველოსიპედით მოგზაურობა ძალიან მოშწონს. — მიდიხარ აუჩქარებლად, უამრავ რამეს ხედავ, შეგიძლია გაჩერდე იქ, სადაც ადგილი მოგეწონება, დაათვალიერო ისტორიული და კულტურული ძეგლები.

## სამი აფიშა—სამი ცხოვრება

**ველოსიპედს გასულ საუკუნეში ბევრი მაქებარი ჰყავდა, განსაკუთრებით სახვითი ხელოვნების ოსტატთა შორის — ნაკლებად ცნობილი გრაფიკოსებიდან დაწყებული ისეთი ცნობილი მხატვრებამდე, როგორც უან ლუი ფორენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი ან ვილიამ ბრედლი გახლდათ.**

გასულ საუკუნეში ველოწვარმოებას დიდი მოგება მოჰქონდა მრეწველებისთვის.

ველოსიპედს მაშინაც სჭირდებოდა რეკლამა და ამ მიზნით ხშირად ცნობილ მხატვრებსა და გრაფიკოსებს მიმართავდნენ. ისინიც მეტწილად ლამაზად მოხატულ აფიშებს ხატავდნენ.

ერთ-ერთი ასეთი აფიშა ჟან ლუი ფორენმა (1852-1931 წწ) 1894 წელს დახატა. საფრანგეთში მაშინ ნამდვილი ველობუმი იყო. ამ აფიშის მიხედვით შეგიძლიათ დაადგინოთ, რომ საფრანგეთის დედაქალაქში ველოსალონებიც არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი სალონი ინდუსტრიის სასახლეში იყო მოწყობილი. ფორენისთვის ველოსიპედის თემა არ იყო ახლობელი, ამიტომ ეს აფიშა არც ერთ კატალოგში არ არის შეტანილი. აფიშაზე გამოსახულია ორი კეთილშობილი გოგონა, რომლებმაც სხვა საეჭვო გართობებს ველოსიპედი ამჯობინეს.

ველოსპორტი ასევე შემთხვევითი თემა უნდა იყოს ანრი დე ტულუზ-ლოტრეკისთვისაც (1864-1901). ბავშვობიდან ხეიბარ ლოტრეკს (იგი წარმოშობით გრაფი იყო) უყვარდა ცხენები, მოძრაობა, ყოველგვარი შეჯიბრება, სისწრაფე, ალბათ ამიტომაც შექმნა ეს აფიშა (1896 წელს). მეგობრებისაცნობებს ლოტრეკის ნამუშევარი მოეწონათ, შემკვეთმა — ინგლისური ფირმის სიმპსონის მეპატრონემ კი იგი უვარგისად ჩათვალა და მხატვარს გასამრჯელოს გადახდაზე უარი უთხრა. ლოტრეკს ეს აფიშა თავის მეგობრისთვის, ველოსიპედისტ ბერნარისთვის უჩუქებია.

ამერიკელი ვილიამ ბრედლი (1868-1962) ველოსპორტს სიახლოვეს არ გაკარებია და ერთადერთი აფიშა, როგორც ჩანს, წმინდა კომერციული მიზნით დახატა. იგი იმ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის გამოუშვეს, რომელიც 1893 წელს ჩიკაგოში ჩატარდა. აფიშაზე ასეთი სარეკლამო ტექსტია: „ველოსიპედი — „გამარჯვება“, თვალი — ოვერმანისა და კომპანიის, პროდუქცია იყიდება ბოსტონში, ნიუ-იორკში, დეტროიტში, დენვერში, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესსა და პორტლენდში“.

სამივე მხატვარს სპორტისადმი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ მათ თავიანთი ნაწარმოებებით გარკვეული ჟანრი დატოვეს მსოფლიო ველოსპორტის ისტორიაში.

სურათზე: თბილისელი და გორელი ველომოყვარულები გორის ცენტრალურ მოედანზე.

**გამარჯვების** დღეს მიუძღვნეს თავიანთი მორიგი ველოგადარბენა თბილისის საჭალაჭო ტურისტული კლუბის ველოტურიზმის სექციის წევრებმა (ხელმძღვანელი თედო ნიკოლაიშვილი). ამჯერად მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი—გორი — თბილისი. ჭალაჭის მისადგომებთან სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ გორის საწარმოო-საფეიჭრო სამკერვალო გაერთიანების სპორტკლუბ „დილის“ წევრები, კლუბის თავმჯდომარის ნოდარ დვალის ხელმძღვანელობით. თბილისელმა და გორელმა ველომოყვარულებმა ერთად შემოიარეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ამ გადარბენაში მონაწილეობით თბილისელებმა მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულეს და მათ სათანადო კვალიფიკაცია მიენიჭებათ.

# სამი „დინამოს“ რთული პოზიცია

ხვალ, 18 მაისს, გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, X ტურის ძალენდარული მატჩები.

ჩემპიონატის ყოველი ტური ფეხბურთის მოყვარულთა საგანგებო ინტერესს იწვევს, მაგრამ, მაინც, არის ისეთი გამორჩეული დღეები, როცა ერთმანეთს ხვდებიან პრინციპული მეტოქეები და თითოეულ მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ასეთია ხვალინდელი ტური. თამაშობენ: „დნეპრი“ — ლუკა, „შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „ჟალგირისი“—„ქაირათი“, „დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“, „მეტალისტი“ — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „დინამო“ (კიევი), „გურია“ — „ნეფთჩი“, „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“.

სადღეისოდ უმაღლეს ლიგაში სერიოზული პრობლემების წინაშე დგას „დინამოს“ სამი სახელმოხვეჭილი გუნდი — კიევის, მოსკოვის და თბილისისა. კიევის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ლიდერია და შარშან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობაც კიდევ ერთხელ, უკვე მეთორმეტედ მოიპოვა, მაგრამ წლევანდელ, საიუბილეო გათამაშებაში, კიევლები სატურნირო ცხრილის არიერგარდში იმყოფებიან. მართალია, ამ გუნდმა უმაღლეს ლიგაში ყველაზე ნაკლები მატჩი ჩაატარა და სარეზერვოდ გარკვეული პერსპექტივებიც აქვს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, რომ კიევის „დინამომ“ 6 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო, ერთი ფრედ დამთავრა და 3 წააგო. 5 ქულა 12 შესაძლებლიდან, 7 დაკარგული ქულა! ეს საგანგაშო ვითარებას ქმნის. კიევის „დინამოს“ ახლა კომპლექსური ფუნქციები აკისრია ჩვენს ფეხბურთში, გუნდის უმეტესობა სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებში გამოდის, ამდენად ეს კრიზისი არა მარტო ლოკალური, ვიწრო საკლუბო, არამედ უფრო გლობალური მასშტაბისაა. ფეხბურთის მოყვარულები კარგად ხედავენ, რომ კიეველებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს თამაშის ლაღი მანერა, სისწრაფე, სიმსუბუქე, მოთამაშეთა შორის მოიშალა ადრინდელი სინქრონულობა, შესამჩნევია რაღაც უჩვეულო სიმძიმე, ეტყობა, დიდ დატვირთვებს თვით ამ გამოცდილმა ფეხბურთელებმაც კი ვერ გაუძლეს. ხვალ კი კიევის „დინამოს“ მეტად ძნელი თამაში აქვს მოსკოვში „ტორპედოსთან“. ტორპედოელები ახლა აღმავლობის გზაზე დგანან და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებიან. ცხადია, ისინი ხელიდან არ გაუშვებენ შესაძლებლობას წარმატებით ითამაშონ თავიანთ მრისხანე მეტოქესთან. გარდა ამისა, ამ მატჩში პარალელური ჩათვლა მიმდინარეობს „სეზონის თასზეც“, ვინაიდან ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის მფლობელი. მატჩს „ორმაგი დატვირთვა“ აქვს, ამდენად იგი კიდევ უფრო საინტერესოა.

მოსკოვის „დინამო“ დონეცკში ხვდება „შახტიორს“. მოსკოვის დინამოელებმა შარშან საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს, ეს იყო ამ აღიარებული გუნდის დიდი რენესანსი, მაგრამ ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეთა ემოციურმა აღმფრენამ, ეტყობა, იკლო, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა (კოლივანოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი, კარატაევი და სხვანი) დაკარგეს „თამაშის ძაფი“. მოსკოვის „დინამო“ ახლა ცხრილის შუაგულში ჩამოქვეითდა, სტუმრად თამაში დონეცკში კი ძნელია ყველა გუნდისთვის.

მეტად საპასუხისმგებლო თამაში აქვს ხვალ თბილისის „დინამოს“. ჩვენმა გუნდმა 1986 წლის ჩემპიონატში მესუთე ადგილი დაიკავა და უეფა-ს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. შეიძლება, ეს შარშანდელი მაღალი ადგილი ბევრი იღბლიანი, ხელშემწყობი ვითარებათაც იყო განპირობებული. წლეულს კი თბილისის „დინამო“ უმძიმესი კრიზისის ვითარებაში აღმოჩნდა, და ჩვენი საუკეთესო გუნდი ახლა მისთვის ყოვლად შეუფერებელ, აშკარად შეუჩვეველ ადგილზე იმყოფება.

თბილისის „დინამოს“ ახეთი ღრმა ჩავარდნა მის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა ხვედრებით ხამართლიან გულისწყრომას იწვევს. რედაქციის მისამართით ყოველ დღე უამრავი წერილი მოდის, გულშემატკივრები მოითხოვენ იმის გარკვევას, რისი უფლებაც მათ კანონიერად აქვთ: რატომ თამაშობს გუნდი ახე ხუხტად? რატომ ვერ ავლენს თავისი პოტენციალის თუნდაც მცირე ნაწილსაც კი? რატომ მოიკლო ახე მკვეთრად და უცბად ცალკეულ ფეხბურთელთა ოსტატობამაც და მონდომებამაც? ნუთუ ჩვენს გუნდს იმდენი არ შეუძლია, რომ ბოლო ადგილს თავი დააღწიოს უმაღლეს ლიგაში?!

ყველანი იმ იმედით ვხულდგმულობთ, რომ ჩავარდნა დროებითია, მაგრამ მართალნი არიან ისინიც, ვინც კითხულობს: როდემდე? როდის უნდა ითამაშდეს თბილისის „დინამო“ და თუნდაც იმ მხსნელ პოზიციას მიაღწიოს, ხადაც I ლიგაში გადახვლის ხაშიშროება აღარ არის?

ამ კითხვაზე დინამოელებმა პასუხი უნდა გასცენ უახლოეს ხანებშივე და, კონკრეტულად, ხვალითვე დინამოელები გულწრფელად განიცდიან ჩავარდნას. გუნდში ამ დღეებში გამართულ კრებაზე ბიჭებმა დაუფარავად უთხრეს ერთმანეთს სიმართლე, გულდასმით გააანალიზეს შექმნილი ვითარება და გამოიმედა აქვთ ერთგული გულშემატკივარი, ცხადია, მეტად ძნელ ვითარებაში უდგებიან მატჩს ხარში.

ერევნის „არარატი“ ჩვენი ტრადიციულად უძნელესი მეტოქეა. მაშინაც კი, როცა თბილისის „დინამო“ „არარატზე“ მთელი თავით მაღლა იდგა, ამ ორი გუნდის შეხვედრები მუდამ უკიდურესად შეუპოვარი ბრძოლით ხახიათდებოდა. რა თქმა უნდა, ახე იქნება ახლაც. ახე რომ, ხვალინდელ მატჩს ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან ჩვენი გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თბილისელებმა უნდა გამოავლინონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი და უველაფერი გააკეთონ უმძიმესი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ახეთივე ძნელი თამაში ელის ხვალ საკუთარ მინდორზე ლანჩხუთის „გურიას“ ბაქოს გუნდთან. ლანჩხუთელები მონდომებით, ენერგიულად იბრძვიან უმაღლესი ლიგის მეტად ძლიერ მეტოქეებთან. სახაყვედუროდ, თითქოს, არაფერი გვაქვს, მაგრამ მარტოოდენ თავგამოდებით თამაშით ფონს ვერ გავალთ, „გურიას“ ახლა მაერიცხვით სჯირდება ქულები, ამ ქულების მოსაპოვებლად მან ძალღონე არ უნდა დაიშუროს ხვალაც. დარწმუნებული ვართ, ლანჩხუთელ ფეხბურთელებს ძალუძთ ამ ამოცანის შესრულება.

## ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

# დუბლიორთა მატჩი

**დღეს** თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგება უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა მატჩი, ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“.

თამაში დაიწყება 18 საათზე (და არა 19 საათსა და 30 წუთზე, როგორც ადრე იყო გამოცხადებული).

## I ლიგა

15 მაისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა ხაკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი, რიგის „დაუგავამ“ თავის მინდორზე მიიღო კემეროვოს „კუზბასი“ და გაიმარჯვა 1:0.

## გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ ფურცლებზე

# მეორე მსაჯი

**რატომაც არა?**

**მოსკოველი** ვ. კოზინის აზრით ფეხბურთის თამაში ახლა ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ მსაჯი ვეღარ ასწრებს მინდვრის ერთი ნახევრიდან მეორეზე გადაადგილებას. იგი ხშირად შორს იმყოფება თამაშის წესის დარღვევის ადგილიდან და მცდარი გადაწყვეტილებაც ამიტომ გამოაქვს.

— თამაშს აუცილებლად ოთხი მსაჯი უნდა სჯიდეს, — გვარწმუნებს წერილის ავტორი, — ორი გვერდითი და ორი მინდორზე (თანაბარი უფლებებით). თითოეული მათგანი კონტროლს გაუწევს მინდვრის საკუთარ ნახევარს და მოვლენათა განვითარების „ეპიცენტრში“ იქნება.

წერილს კომენტარს უკეთებს მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი, სასწავლო-მეთოდური კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა სამსაჯო კორპუსის ერთ-ერთი ვეტერანი ნ. ლატიშევი:

— უნდა ითქვას, რომ ეს იდეა არ არის ახალი. თავის დროზე ჩვენ საქართველოში ჩავატარეთ ტურნირი, რომელშიც მსაჯობა სწორედ ასეთი წესით განხორციელდა. ამ მეთოდს ტრადიციულისგან განსხვავებით გარკვეული უპირატესობა აქვს, მაგრამ აქვს ნაკლიც. მთავარი ხელისშემშლელი მიზეზი ის გახლავთ, რომ საერთაშორისო მატჩებს ერთი მთავარი მსაჯი უძღვება. თუ ახალ სისტემაზე გადავალთ, ჩვენი არბიტრები ვეღარ შეძლებენ საერთაშორისო ასპარეზობაზე მსაჯობას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს სამსაჯო სკოლაზე.

— თავის დროზე შაიბიანი ჰოკეის კანადისა და ამერიკის ფედერაციებმა პირველებმა დაიწყეს მატჩების მომსახურება სამი არბიტრით. სწორედ მას შემდეგ დამკვიდრდა ეს წესი საერთაშორისო სარბიელზე. რატომ არ შეიძლება ჩვენი ფეხბურთელებიც გახდნენ ნოვატორები? სიახლე ზეგავლენას არ იქონიებს თამაშზე, მსაჯობის დონე კი უეჭველად მაღალი იქნება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში მონაწილეობა მიიღო სხვა ფინალურ შეჯიბრებებშიც — ერთადგილიანი ნავებით 500 მეტრზე, ამავე დისტანციაზე ოთხადგილიანი ნავებით და 10000 მეტრზე ოთხადგილიანი ნავებით რბოლაში.

ფინალში (ორადგილიანი ნავებით 1000 მეტრზე) იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ედუარდ ჭაბაკაშვილმაც.

ლე, მაგრამ სანამ რაიმე ახლით წარვდგებით საერთაშორისო სარბიელზე, საჭიროა საფუძვლიანად გამოვცადოთ იგი შინ, საკუთარ ასპარეზზე.

ნ. ლატიშევის წინადადება უთუოდ ყურადსაღებია. უველამ ვიცით, როგორ დაეცა ამ ბოლო დროს მსაჯობის ხარისხი, თანაც მსაჯებს სერიოზული შეცდომები მოსდით არა მარტო საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, არამედ უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებებზეც. საკმარისია გავიხსენოთ მსაჯთა უხეში შეცდომები ჩ.ქსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე. როგორც ჩანს, აქაც დადგა ცვლილებების დრო.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ საკათო მომენტებში ვიდეოჩანაწერის გამოყენების აუცილებლობაზე. ამ სიახლის მოწინააღმდეგეთა აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა: „იმავე



17 მაისს მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. ეს ღონისძიება სპორტის ეროვნულ ხახეობებზე ხაყოველთაო ზრუნვის დემონსტრირებად იქცა. ადგილებზე ამ შეჯიბრებათა ჩატარებაში სპორტკომიტეტებს დიდი დახმარება გაუწიეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ქართული ჭიდაობის დღეხადმი მიძღვნილ მასალებს მკითხველი ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გაეცნობა.

ხურათზე: ახმეტაში გამართული ერთ-ერთი ახპარეზობის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იუგოსლავიიდან დაბრუნებული, თბილისის სპორტკომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე თამაზ ჯოხაძე, რომელიც საქართველოს მძლეოსნებს ახლდა, რედაქციაში გვეწვია და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა, გვიჩვენა ხაგრების „სპორტსკე ნოვოსტისა“ და ლიუბლიანის „დელოს“ ნომრები, რომელთა ფურცლებზე ამ ასპარეზობისადმი მიძღვნილი მასალებია დაბეჭდილი.

— საქართველოსა და იუგოსლავიის, კერძოდ, თბილისისა და ლიუბლიანის სპორტსმენთა ამხანაგურ შეხვედრებს, — თქვა თ. ჯოხაძემ — 16-წლიანი ისტორია აქვს. იგი მაშინ დაიწყო, როცა ხელი მოაწერეს ამ ორი ქალაქის დამეგობრების აქტს. ჯერ ფეხბურთელთა, ხელბურთელთა და ტანმოვარჯიშეთა ერთობლივი შეჯიბრებები გაიმართა, შემდეგ ასპარეზობაში ველოსიპედისტები და სხვა სახეობათა მომდევრებიც ჩაებნენ.

● **ბოლო შეჯიბრებებზე რას იტყვით?**

— ერთიცა და მეორეც ხორვატიისა და სლოვენიის გათავისუფლების თარიღს მიეძღვნა. შეჯიბრება ხაგრებში ოცდამეთორმეტედ, ლიუბლიანაში კი ოცდამეჩატარდა. ამ ორი ქალაქის ბში სპორტსმენებს შესაბ 6.020 და 4.222-მეტრიანი დ ცები უნდა დაეძლიათ. ჩვენ ნდი 7 მორბენლისგან შედგ

ცხ. მე-4 გვ.

ხურათზე ხედავთ გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ პირველ გვერდს (მარჯვნივ ზემოთ) დაბეჭდილია ხტრიჟაკოვის ფინიში ხაგრ

# ახალი ფილმი ქართულ ფეხბ

**ფილმი** დასრულდა, არადა როგორ მინდოდა კიდევ გაგრძელებულიყო — რამდენიმე წუთს მაინც. დარწმუნებული ვარ, არც სხვები იქნებოდნენ ამის წინააღმდეგი, მაგრამ ეკრანზე უკვე გაიელვეს ქართული ფეხბურთის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის ამ სახველმა კადრებმა. მარტო ფეხბურთის ისტორიისა? აი, ლონდონელები — ათასგვარი საინტერესო ჩანახატით განებივრებული — მადლობის ნიშნად ფეხზე იდგარნი, მჭუხარე ტაშით აჯილდოებენ თბილისის „დინამოსა“ და რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასებს (ანუ გუნდებს). კადრი კადრს ცვლის: ალოდისმენტებით აჯილდოებენ ფეხბურთელებს, ტაშს უკრავენ— მსახიობებს, შემდეგ ისევ ფეხბურთელებს... ჩანს, ფილმის ავტორთა მიზანი ერის კულტურულ მონაპოვართა ჩვენება იყო.

— უველ შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ამის კენ ვისწრაფოდით,—ამბობს სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური ფილმის „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ რეჟისორი ალექსანდრე ჭელტი.

„გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“ გადაიღეს, ტრილოგიის ბოლო ფილმია. იგი აგრძელებს 1980 წელს გადაღებულ სრულმეტრაჟიან ფილმს „სტადიონს“ და 1984 წელს გადაღებულ მოკლემეტრაჟიან სურათს „გურია, გურია!“ (ამ წელს სწორედ „გურია, გურია!“ დაასახელეს ქართული დოკუმენტური კინოს საუკეთესო ფილმად!).

ტრილოგიის ბოლო ფილმის სცენარი ალექსანდრე ჭელტმა სტუდია „მემატიანეს“ დირექტორთან ჰაბუა ამირეჯიბთან ერთად დაწერა. ფილმის ოპერატორია გურამ როგავა, კონსულტანტები — ბორის პაიჭაძე და გიორგი ბაქანიძე. სურათი გადაღებულია საქართველოს სპორტსახკომის დაკვეთით.

ალექსანდრე ჭელტს სხვა სპორტული ფილმების შექმნაშიც მიუძღვის წვლილი. მაგალითად, რეჟისორმა ოთარ გურგენიძემ მისი სცენარის მიხედვით გადაიღო „მშვიდობით კაპიტანო“, რომელიც ქართული ფილმების პირველი ფესტივალის საუკეთესო დოკუმენტურ ნამუშევრად აღიარეს. უკვე მზად არის სცენარი ფილმისთვის „ნიკე“. დამთავრდა ორსერიანი მხატვრული ფილმის „სიბარულის სახლის“ სცენარზე მუშაობა, რომელიც 17 (!) წელიწადს გაგრძელდა. ფილმს, რომელიც 33 ნოველისაგან შედგება (ერთ-ერთი ნოველა სპორტულია) და ჩვენი დედაქალაქის, თბილისის ისტორიაზე მოგვითხრობს, კინოსტუდია „ქართფილმი“ აპირებს ვენახის ტერასის ვეებში,

ტურნირის ეჭო

# პირველად მოზრდილებში და...

ა. ხარლამპიევის სახელობის სამბისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ყოველწლიურად ტარდება, საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული და პოპულარული შეჯიბრებაა, მასში ტრადიციულად უძლიერესი სამბისტები ასპარეზობენ.

ასე იყო ამჯერადაც. 9–10 მაისს მოსკოვში გამართულ მორიგ მემორიალში, უცხოეთის 12 ქვეყანა მონაწილეობდა. ცალკე გუნდებად გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრებაში საქართველოს ხუთი სამბისტი მონაწილეობდა: ლევან ბასილაშვილი (52 კგ), შირვან ფარჯანაძე (62 კგ), მამუკა წინამძღვრიშვილი (82 კგ), რობერტ ძიძიშვილი (100 კგ) და იოსებ ჯიჩოშვილი (ძმები). ამათგან ყველაზე კარგი შედეგი — II საპრიზო ადგილი მამუკა წინამძღვრიშვილმა აჩვენა, რომელმაც მოზრდილთა ტურნირებში ასპარეზობა წლეულს დაიწყო (პირველად ტალანტის საკავშირო ჩემპიონატში გამოვიდა).

პირველ წრეში წინამძღვრიშვილმა 4 ქულის უპირატესობით ა. სიდოროვს აჯობა. მეორე წრეში ასეთივე შედეგით დაამთავრა შეხვედრა ა. ქელიაჩკოსთან. მესამე წრეში წინამძღვრიშვილს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილმა ს. რიაბოკონმა, მაგრამ მცირე უპირატესობით გამარჯვება მაინც ჩვენმა მოჭიდავემ მოიპოვა.

მე-4 წრეში ქართველი სამბისტი ისვენებდა, მერე კი ორი ძნელი შეხვედრა ჰქონდა. წინამძღვრიშვილმა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ა. მუსაბეკოვი მცირე უპირატესობით დაამარცხა, ფინალში კი დამარცხდა მოსკოველ ვ. სლობოდნიუკთან.

ამ შეჯიბრებაში ცუდად არც შირვან ფარჯანაძე გამოსულა. სამი სასტარტო შეხვედრა მან დამაჯერებლად მოიგო, აი, მეოთხეში კი დამარცხდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთან ა. ლაზარიანთან, რომელიც საბოლოოდ ტურნირის ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, შეხვედრის დამთავრებამდე 5 წამით ადრე წინ ფარჯანაძე იყო, მაგრამ გამოცდილმა ლაზარიანმა მაინც შემოაბრუნა ბრძოლის ბედი თავის სასარგებლოდ.

ფარჯანაძეს ობიექტურად ფინალში უნდა ეჭიდავა, მაგრამ დებულების თანახმად საპრიზო ადგილზე გასვლა ერთი ქვეყნის ორ წარმომადგენელს არ შეეძლო და ამიტომაც იგი მთავარ მოვლენებს მიღმა დარჩა.

ამ ასპარეზობაში უნდა გამოსულიყო სსრ კავშირის თასის მფლობელი და ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილიც, ძაგრაა ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი გაათავისუფლა. ამ დღეებში მჭედლიშვილს საკონტროლო შეხვედრების ჩატარება მოუწევს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ რ. ხაიდუბულაევთან. გამარჯვებული მოჭიდავე ივნისის პირველ რიცხვებში ევროპის ჩემპიონატში გამოვა. შეგახსენებთ, რომ საკავშირო ჩემპიონატსა და თასის გათამაშებებში ჯემალი წარმატებით ორჯერ დამარცხდა.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა შემდეგი წინამძღვრიშვილის შესახებ:

**დაიბადა 1966 წლის 2 თებერვალს მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთ კარში.**
**სიმაღლე — 183 სმ, წონა — 82 კგ.**
**სპორტის ოსტატი, ასკ (თბილისი).**
**მწვრთნელები: ა. წიკლაური, ნ. ხუციშვილი და ო. იაძე.**
**სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს.**
**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოსაგზაო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია.**
**პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია 1982 წელს — ჰაბუკთა საკავშირო პირველობის პრიზიორი გახდა.**
**არის შეიარაღებულ ძალთა მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჰაბუკთა, იუნიორთა და მოზრდილთა შორის.**

ფეხბურთი

# მინდორზე — მოსწავლე ფეხბურთელები

24 გუნდმა მიიღო მონაწილეობა 1972–73 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ გათამაშებაში. საქართველოს მოსწავლეთა XXXV სპარტაკიადის ამ შეჯიბრებამ ორ თვეს გასტანა.

ასპარეზობა 2 ეტაპად გაიმართა, ჯერ ჩატარდა ზონალური შეჯიბრებები, აქ გამარჯვებულმა გუნდებმა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ფინალისტებმა, მათ შორის კი იყვნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის გუნდები, თავი მოიყარეს ბათუმში.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა, რომელსაც მწვრთნელები გ. გვანცელაძე და გ. შავდია ხელმძღვანელობენ. ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზაზე (დირექტორი ა. თურქია).

მეორე ადგილზე გავიდა აჭარის ნაკრები (მწვრთნელები ვ. კობიძე, ნ. სურგულაძე, სკოლის დირექტორი გ. ქიქავა), მესამეზე — ქუთაისის გუნდი (მწვრთნელები თ. ხელიძე, თ. ლიპარტელიანი, სკოლის დირექტორი პ. რევიშვილი).

ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა ოჩამჩირელმა ე. მიქაიამ, მცველისა — რუსთაველმა ზ. არჩვაძემ, ნახევარმცველისა — ბათუმელმა თ. ტუღუშმა, თავდამსხმელისა — თბილისელმა ი. ნარუაშვილმა. ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი იყო თბილისელი კ. კვანტალიანი.

პრიზებით დაჯილდოებულთა გარდა აღსანიშნავია სხვა პერსპექტიული ფეხბურთელები: მამუკა გაჩეჩილაძე, კახაბერ ნინუა, ბესიკ ამაშუკელი და ვალერი გეგეშიძე (თბილისი), დათო ჯანიშვილი, ლევან ფესტვენიძე, გოჩა მანჯავიძე და ნიკა ხელაძე (ქუთაისი), გიორგი ხინთიკიძე, ელდარ გვასალია და დავით ფხაკაძე (აჭარა), რუსლან ლოკოტკოვი, თემურ კაკუბავა და ... (აფხაზეთი), მარინეგ თანდილავი (რუსთავი), დიმიტრი ვალიშვილი (გორი).

**გივი მუმლაძე,**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.**

# ბრაზილიელი ფეხბურთელები ევროპაში

**როგორც** ვიტყობინებოდით, ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ევროპაში ჩამოვიდა, აქ იგი რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს კონტინენტის საუკეთესო გუნდებთან, კერძოდ, **19 მაისს** ლონდონში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისი — ბრაზილია, **23 მაისს** დუბლინში — ირლანდია — ბრაზილია, **26 მაისს** გლაზგოში— შოტლანდია — ბრაზილია, **29 მაისს** ჰელსინკში ფინეთი — ბრაზილია.

ბრაზილიელ ფეხბურთელთა ვიზიტი ევროპაში მუდამ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. გარდა იმისა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ყოველთვის იყვნენ და რჩებიან მსოფლიოს ერთერთ უძლიერეს გუნდად, ბრაზილიელ ვირტუოზთა ორიგინალური თამაშის სტილი, მაღალი ტექნიკური ოსტატობა და იმპროვიზაცია ევროპული სკოლის წარმომადგენლებთან დიდმნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცევა ხოლმე.

ბრაზილიელებს ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავთ — კარლოს ალბერტო სილვა. ბრაზილიელთაგან 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში გამოდიოდა სულ 4 ფეხბურთელი: სილასი, კარლოსი, ჟოსიმარი და ვალდო. დანარჩენები სულ ახლახან ჩაირიცხნენ ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სამხრეთ ამერიკის „ა“ ჯგუფში (ბრაზილია, კოლუმბია, ურუგვაი, პარაგვაი, პერუ). ბრაზილიელებმა აქ პირველი ადგილი დაიკავეს და მომავალი ოლიმპიური თამაშების ფინალში მონაწილეობის საგზურიც მოიპოვეს. ეს სულ ჰაბუკი ფეხბურთელებია, რომელთა ტალანტი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან და, ცხადია, საერთაშორისო შეხვედრათა სათანადო გამოცდილებაც არა აქვთ.

ახალმა მწვრთნელმა ევროპაში გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ხაზი გაუსვა ახლად შექმნილი გუნდის პირველი ნაბიჯების დიდ მნიშვნელობას, დებიუტის სიძნელეებს, მაგრამ სწორედ ნაკრების ევროპაში გამომგზავრების წინ ბრაზილიაში დიდი კონფლიქტი მოხდა, რამაც შესაბამისი საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვა. ამ ქვეყნის სამმა წამყვანმა საფეხბურთო კლუბმა — „სან-პაულუმ“, „ფლამენგომ“ და „გუარანიმ“ — ოფიციალური უარი განაცხადა ნაკრებში მიეყვლინებინა თავისი საუკეთესო ფეხბურთელები, რის გამოც კარლოს ალბერტო სილვამ ევროპაში ვერ ჩამოიყვანა არეკა, მიულერი, ჟორჟინიო და ე. ბებეტო. ეს დანაკლისი ბრაზილიელთათვის ფიქსად მნიშვნელოვანია, ვინაიდან გუნდის საბრძოლო შემადგენლობის დასადგენად ახლანდელ ევროპულ ტურნირს მეტად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. საქმეს ვერ უშველა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ჩარევამაც, „სან-პაულუ“, „ფლამენგო“, „გუარანი“ კატეგორიულად დადგნენ უარზე. ტურნეს გადადება კი არ შეიძლებოდა. ეს ოთხი ფეხბურთელი შინ დარჩა.

კარლოს ალბერტო სილვამ განაცხადა:

— ასეთი დამოკიდებულება ფეხბურთისადმი აღმაშფოთებელია! პროტესტს ვაცხადებთ არა მარტო ჩვენ, მწვრთნელები, არამედ ბრაზილიის ნაკრების მილიონობით გულშემატკივარიც. საქმე ამჯერად ეხება არა მარტო კომერციულ ტურნეს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ეროვნული გუნდის მზადებას. წარმოსადგენადაც კი ძნელია, რომ ბრაზილიის მოწინავე პროფესიულ კლუბებს არ ადარდებთ ქვეყნის ნაკრების სადღეისო პრობლემები. ბრაზილია ფეხბურთით ცხოვრობს, ეს ყველამ უნდა შეიგნოს, კლუბების ყოველდღიური ორდინალური ინტერესები უკანა პლანზე უნდა გადადგეს, როცა ეროვნულ პრესტიჟზეა ლაპარაკი.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

საქართველოს პირველობა

**მდგომარეობა ...ლი ფოლი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი ან ვილიამ ბრედლი გახლდათ.**

გასულ საუკუნეში ველოსპორტობას დიდი მოგება მოჰქონდა მრეწველებისთვის.

ველოსიპედს მაშინაც სჭირდებოდა რეკლამა და ამ მიზნით ხშირად ცნობილ მხატვრებსა და გრაფიკოსებს მიმართავდნენ. ისინიც მეტწილად ლამაზად მოხატულ აფიშებს ხატავდნენ.

ერთ-ერთი ასეთი აფიშა ჟან ლუი ფორენმა (1852-1931 წწ) 1894 წელს დახატა. საფრანგეთში მაშინ ნამდვილი ველობუმი იყო. ამ აფიშის მიხედვით შეგიძლიათ დაადგინოთ, რომ საფრანგეთის დეკატალოგში არ არის შეტანილი. აფიშაზე გამოსახულია ორი კეთილმობილი გოგონა, რომლებმაც სხვა საეჭვო გართობებს ველოსიპედი ამჯობინეს.

ველოსპორტი ასევე შემთხვევითი თემა უნდა იყოს ანრი დე ტულუზ-ლოტრეკისთვისაც (1864-1901). ბავშვობიდან ხეიბარ ლოტრეკს (იგი წარმოშობით გრაფი იყო) უყვარდა ცხენები, მოძრაობა, ყოველგვარი შეჯიბრება, სისწრაფე, ალბათ ამიტომაც შექმნა ეს აფიშა (1896 წელს). მეგობრებისგან ლოტრეკის ნამუშევარი მოეწონათ, შემკვეთმა — ინგლისური ფირმის სიმპსონის მეპატრონემ კი იგი უვარგისად ჩათვალა და მხატვარს გასამჯელოს გადაუხადა.

ოლიმპიკოსი

(1886–1962) ველოსპორტ... ლოვეს არ გაკარებია და ერთი აფიშა, როგორც ჩანს, და კომერციული მიზნით იგი იმ მსოფლიოს ჩემპიონ... თვის გამოუშვეს, რომელი... წელს ჩიკაგოში ჩატარდა. ... ზე ასეთი სარეკლამო ... ველოსიპედი — „გამა... თვალი — ოვერმანისა და ... ნის, პროდუქცია იყიდებ... ტონში, ნიუ-იორკში, დეტ... დენვერში, სან-ფრანცისკო... ანჯელესსა და პორტლენდ...

სამივე მხატვარს სპორტ... სხვადასხვანაირი დამოკიდ... ბა ჰქონდა, მაგრამ მათ თოლე... ნაწარმოებებით გარკვეულ... ლი დატოვეს მსოფლიო ... სპორტის ისტორიაში.

სურათზე: თბილისელი და გორელი ველომოყვარულები გორის ცენტრალურ მოედანზე.

**გამარჯვების** დღეს მი... თავიანთი მორიგი ველოგა... ნა თბილისის საჭალაჭო... ტული კლუბის ველოტ... სექციის წევრებმა (ხელმძ... თედო ნიკოლაიშვილი). მარშრუტი ასეთი იყო: თბ... გორი — თბილისი. ჭალ... სადგომებთან სტუმრებს ... ლად შეხვდნენ გორის საჭანციის საფეიქრო სამკერვალო ... ტონ სი... ნების სპორტკლუბ „დილ... ვრები, კლუბის თავმჯდომა... დარ დვალის ხელმძღვან... თბილისელმა და გორელმა ... მოყვარულებმა ერთად ... რეს ჭალაჭის ღირსშე... ადგილები.

ამ გადარბენაში მონაწ... („მაკლა... თბილისელებმა მესამე ... ნორმატივები შეასრულეს ... სათანადო კვალიფიკაც... ჰებათ.

**საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ჯაჭანტური თანამდებობის დასაკავებლად — 1 ადგილი.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებისა და დებულებით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

**ჩვენი მისამართია: 380062, თბილისი, ჰავჰავაძის პროსპექტი 49 ა. საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტელეფონი 23-55-87.**

## „სპორტპროგნოზის“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტპროგნოზისა“, რომელიც 1987 წლის 2–4 მაისს ჩატარდა.

ტირაჟში დაშვებულ იქნა 10.062.401 ვარიანტი, 13 შედეგის გამოცნობისთვის (3) თანხამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (159) — 1.900 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის კი (3.702) — 318 მანეთი.

მე-18 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 26 მაისიდან 26 ივნისამდე.

## ჭკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 17 მაისი.** დილის დაწურვა — **8.00 (1),** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** კალათბურთი. ი. გაგარინის სახელობის ტურნირი: სსრ კავშირი — „მარათონი“ (აშშ) — **17.55 (2);** სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის თასი მაგიდის ჩოგბურთში, 2. მსოფლიო თასი სასტენდო სროლაში — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.15 (1);** მშვიდობის ველორბოლა — **1.00 (1).**

**18 მაისი.** დილის დაწურვა — **8.00 (1),** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი და სეზონის თასის გათამაშება ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) — **19.30 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 17 მაისი.** სპორტული ფილმების ფესტივალი — **14.50;** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.15.**

**18 მაისი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) — **19.30,** „გურია“ (ლანჩხუთი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) **22.40.**

**საქართველოს რადიო. 17 მაისი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

**18 მაისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) — **20.30,** „გურია“ (ლანჩხუთი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) — **21.30.**

4. ბეჭდება ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. უე 05343